დანართი 16

შპს უსაფრთხოების აკადემია

<u>დამტკიცებულია:</u>

კოლეჯის საბჭოს თავმჯდომარე:

დავით მაზმიშვილი

08/02/ 2024 წ.

ბიბლიოთეკის დებულება

თბილისი 2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. კოლეჯის შპს უსაფრთხოების აკადემია (შემდგომში - კოლეჯი) ბიბლიოთეკა (შემდგომში - ბიბლიოთეკა) წარმოადგენს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ხელს უწყობს კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

1.2. ბიბლიოთეკა საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის დებულებით და წინამდებარე დებულებით.

1.3. ბიბლიოთეკა ანგარიშვალდებულია კოლეჯის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. ბიბლიოთეკის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1. ბიბლიოთეკის მიზანია კოლეჯის მკითხველი საზოგადოების დაკმაყოფილება მათთვის საჭირო საბიბლიოთეკო რესურსებით.

2.2. ბიბლიოთეკის ამოცანები:

2.2.1. ინოვაციების დანერგვა კოლეჯის საბიბლიოთეკო საქმეში;

2.2.2. საბიბლიოთეკო ფონდის ფორმირება კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების და მკითველთა ინტერესების მიხედვით;

2.2.3. საბიბლიოთეკო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გაფართოვება.

2.3. ბიბლიოთეკის ფუნქციები:

2.3.1. საბიბლიოთეკო ფონდის აღრიცხვის, დაცვის და პერიოდული აღწერის უზრუნველყოფა;

2.3.2. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კოლეჯის საზოგადოებისთვის როგორც წიგნად, ისე ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე;

2.3.3. საბიბლიოთეკო საცნობარო-საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება;

2.3.4. საბიბლიოთეკო ელექტრონული მონაცემთა ბაზების ორგანიზება და მართვა;

2.3.5. პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საბიბლიოთეკო დაწესებულებებთან როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;

2.3.6. კოლეჯში შესრულებული ნაშრომების ფონდის ორგანიზება და დაცვა;

2.3.7. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების შემუშავება და დაცვა;

2.3.8. საბიბლიოთეკო რესურსების დიგიტალიზაცია და კანონმდებლობის დადგენილი წესით მკითხველთათვის მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

2.3.9. კოლეჯის ვებ-გვერდზე ბიბლიოთეკის განყოფილების ინფორმაციის განახლება;

2.3.10. საბიბლიოთეკო რესურსების მოვლა-რესტავრაცია;

2.3.11. საბიბლიოთეკო ღონისძიებებში, სწავლებებსა და კონფერენციებში მონაწილეობა.

მუხლი 3. ბიბლიოთეკის მოწყობა და საბიბლიოთეკო მომსახურება

3.1. ბიბლიოთეკის მოწყობა:

3.1.1. მომსახურების კუთხე, სადაც ხორციელდება მკითხველთა რეგისტრაცია, საბიბლიოთეკო დოკუმენტების წარმოება და წიგნადი რესურსის გაცემა;

3.1.2. სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია სამკითხველო ფონდი და აჭურვილია მკითხველთა ინდივიდუალური მუშაობისთვის საჭირო ინვენტარით, აგრეთვე - ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, პრინტერით, დოკუმენტების ასლის გადამღები და სკანირების აპარატურით;

3.1.3. წიგნთსაცავი.

3.2. საბიბლიოთეკო მომსახურება:

3.2.1. საბიბლიოთეკო დოკუმენტების წარმოება;

3.2.1. მკითხველის მომსახურება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მასალებით და საბიბლიოთეკო რესურსებით;

მუხლი 4. ბიბლიოთეკარი

4.1. ბიბლიოთეკარი წარმართავს ბიბლიოთეკის საქმიანობას;

4.2. შეისწავლის კოლეჯის მკითხველი საზოგადოების საჭიროებას და ახდენს საჭიროების წარდგინებას შესაბამის სტუქტურებისადმი;

4.3. იძიებს ინფორმაციას თანამედროვე ლიტერატურის შესახებ და ორგანიზებას უწევს ბიბლიოთეკისთვის საჭირო ლიტერატურის შესყიდვას;

4.4. ამყარებს თანამშრომლობას სხვადასხვა საბიბლიოთეკო საზოგადოებებთან;

4.5. წარმოადგენს წლიურ ანგარიშს კოლეჯის ბიბლიოთეკის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

4.6. ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით ბიბლიოთეკის ფუნქციების შესრულებას.

მუხლი 5. ბიბლიოთეკის სამუშაო დრო

ბიბლიოთეკის სამუშაო დრო განისაზღვრება სამუშაო დღეებით, 10:00 - 18:00 საათის განმავლობაში.

მუხლი 6. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კოლეჯის საბჭოს გადაწყვეტილებით კოლეჯის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ბიბლიოთეკარის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის საფუძველზე. ცვლილებათა პროექტს განიხილავს და ამტკიცებს კოლეჯის საბჭო.